საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – გ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.10.2017

საჩივრის რეგისტრაციის № 085/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. თ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. თ.-ს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 20 ოქტომბერს სსიპ „ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას" საჩივრით მომართა გ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. თ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებების მიხედვით, მასსა და ადვოკატ ვ. თ.-ს შორის სამართლებრივი ურთიერთობა დაიწყო 2015 წლის აპრილში. ადვოკატს უნდა ეწარმოებინა გ. ქ.-ს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა მისმა დამ, მ. ქ.-მ და მოითხოვა მისი უღირს მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობის უფლების წართმევა. განმცხადებლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეტანილი ჰქონდა ასევე დედამისს - ლ. კ.-ს, რომელიც ითხოვდა უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულებების გაუქმებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, სწორედ აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით მიმართა ადვოკატ ვ. თ.-ს, რომელსაც დეტალურად გააცნო მისი პრობლემები და ადვოკატიც შეპირდა, რომ დაიცავდა მის ინტერესებს.

1.4 გ. ქ.-ს განცხადებით, თავიდან მხარეები შეთანხმდნენ 1000 (ათას) აშშ დოლარზე. აღნიშნული თანხა მოიცავდა ჩუქების ხელშეკრულებასა და უღირს მემკვიდრედ ცნობასთან დაკავშირებულ დავებში წარმომადგენლობას. მომჩივანი აღნიშნავს, რომ მან ადვოკატს 500 (ხუთასი) აშშ დოლარი შეთანხმებიდან მეორე დღესვე მიუტანა, რადგან ეს თანხა საკმარისი იყო უღირს მემკვიდრედ ცნობის საქმეზე წარმომადგენლობისთვის. თანხის გადაცემის შემდეგ ადვოკატმა დაიბარა მის ოფისში გ. ქ. საქმის დეტალურად გასაცნობად, თუმცა, როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, ადვოკატი არ დახვდა სამუშაო ადგილას და ადვოკატის მითითების შესაბამისად, არსებული ვითარება გააცნო ვ. თ. მომუშავე ადვოკატ ნ. ბ.-ს და მეორე ადვოკატს სახელად ნა.-ს. საჩივრის ავტორის განცხადებით საქმეს გაუძღვებოდა ადვოკატი ვ. თ. რომელსაც ტექნიკურ დახმარებას გაუწევდა ადვოკატი ნ. ბ.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატს თავიდანვე მიაწოდა ინფორმაცია, რომ ძირითადი დავების წარმოების პროცესში შესაძლოა სხვა დავებიც წარმოშობილიყო.

1.6 საჩივრის ავტორმა 2018 წლის 02 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა კარგად განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობა და პირველი ინსტანციის სასამართლოში, უღირს მემკვიდრედ ცნობის საქმეზე, მისთვის სასურველი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, თუმცა სახლის ჩუქების საქმეზე ადვოკატს მნიშვნელოვანი მონაწილეობა არ მიუღია.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, 1000 (ათასი) აშშ დოლარიდან დარჩენილი 500 (ხუთასი) აშშ დოლარი მოგვიანებით გადასცა ადვოკატს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან დამატებით 600 (ექვსასი) აშშ დოლარი ნაწილ-ნაწილ (200 აშშ დოლარი თითო ჯერზე) მისცა ადვოკატს, აღნიშნული თანხა მოიცავდა ბინის იპოთეკარის წინააღმდეგ წარმომადგენლობას, რაიონულ პროკურატურაში საჩივრის შეტანას და სასამართლოს მიერ გამოგზავნილ წერილზე რეაგირებას. ამ უკანასკნელზე საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობი იყო რა სახის წერილი მიიღო ადვოკატმა სასამართლოსგან, თუმცა მას შემდეგ, რაც ადვოკატს დაუკავშირდა, აღმოჩნდა, რომ მას უბრალოდ მოწმედ იბარებდნენ სასამართლოში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა ვ. თ.-მ მაინც მოთხოვა 200 (ორასი) აშშ დოლარი გადახდა

იმისთვის, რომ კონსულტაცია გაუწია სასამართლო უწყებასთან დაკავშირებით. გ. ქ.-ს მიაჩნია, რომ მხოლოდ კონსულტაციის გამო 200 (ორასი) აშშ დოლარის გადახდა უსამართლობაა.

1.8 საჩივრის ავტორი ადვოკატისთვის გადახდილ ანაზღაურებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ, მას მთლიანად ადვოკატისათვის გადახდილი აქვს 1600 (ათას ექვსასი) აშშ დოლარი.

1.9 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მან მოითხოვა მისთვის გადაეცათ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, თუმცა, როგორც საადვოკატო ოფისში განუმარტეს, ძველი ხელშეკრულება ხელზე არ ჰქონდათ, ამიტომ მოხდა ახალი ხელშეკრულების შედგენა. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მან მოითხოვა ოფიციალური ქვითარი, რომლითაც დასტურდებოდა მის მიერ ადვოკატისთვის გადახდილი თანხების ოდენობა, თუმცა 1600 (ათას ექვსასი) აშშ დოლარიანი ქვითრის ნაცვლად, მას გადაეცა ქვითარი, რომელიც 2000 (ორიათასი) ლარის გადახდის ფაქტს დაადასტურებდა. გ. ქ.-მ განმარტა, რომ აღნიშნული ქვითარი არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან მან გაცილებით მეტი თანხა გადაუხადა ადვოკატ ვ. თ.-ს.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც დასრულდა საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, მან ვეღარ შეძლო დაკავშირება ადვოკატ ვ. თ. ვინაიდან, ადვოკატი თავს არიდებდა მასთან ურთიერთობის გაგრძელებას.

1.11 2018 წლის 16 ივლისის და 24 ივლისის სხდომაზე საჩივრის ავტორმა ისაუბრა იმ გარემოებებზე, რაც თავის წერილობით პოზიციაში აქვს მითითებული და განმარტა, რომ ითხოვს ვ. თ.-ს საადვოკატო ფირმამ დაუბრუნოს საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ნაწილი, 800 (რვაასი) აშშ დოლარი, ვინაიდან ის თვლის, რომ ადვოკატმა არ შეასრულა ის სამუშაო, რაც მათ შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალიწინებული ჰონორარის ოდენობის პროპორციული იყო.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 2017 წლის 25 სექტემბერს ადვოკატმა ვ. თ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც მის საადვოკატო ფირმასა და გ. ქ.-ს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შეთანხმება, რომლის საფუძველზეც თავად და მისი ფირმის ადვოკატი ნ. ბ. კეთილსინდისიერად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებდნენ გ. ქ.-ს სამართლებრივ დაცვას თბილისის საქალაქო სასამართლოში, საჯარო რეესტრში, სააღსრულებო ბიურში, პროკურატურაში და სს ,,თელასში".

2.2 ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა გ. ქ.-ს დამ - მ. ქ.-მ და მოითხოვა გ. ქ.-ს უღირს მემკვიდრედ ცნობა და 2013 წლის 17 მაისს გარდაცვლილი დედის ლ. კ.-ს სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა. ადვოკატის განცხადებით, მათ მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, არაერთი სასამართლო სხდომის შემდეგ, სასამართლომ გაიზიარა გ. ქ.-ს მხარის პოზიცია, ხოლო მ. ქ.-ს სარჩელი მისი კლიენტის წინააღმდეგ არ დააკმაყოფილა.

2.3 ადვოკატ ვ. თ.-ს განმარტებით 2015 წლის 28 ოქტომბერს მ. ქ.-ს განცხადების საფუძველზე გ. ქ.-ს შეუწყდა ბინაში ელექტროენერგიის მიწოდება და აღმოჩნდა ძალიან მძიმე მდგომარეობაში, ისინი ამ საქმეშიც დაეხმარნენ გ. ქ.-ს და მათი განცხადების საფუძველზე საჩივრის ავტორს აღუდგა ელექტროენერგიის მიწოდება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, გ. ქ.-მ დედის ანდერძის საფუძველზე სამკვიდრო ქონებიდან მიიღო ¾ წილი, ამის მიუხედავად გ. ქ.-ს დამ საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა ქონების ¾ ნაწილი. მათ აღნიშნულ საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების წესით მიმართეს რეესტრს, რომლის შედეგად გ. ქ.-ს დის სახელზე ამჟამად ირიცხება ქონების ¼ ნაწილი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2016 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ქ.-მ გ. ქ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხოლო 2017 წლის 28 აპრილს მან განცხადებით მიმართა სასამართლოს და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ნაცვლად მოითხოვა უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. 2017 წლის 08 მაისს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გ. ქ.-ს წარმომადგენლმა სასამართლოს წარუდგინა 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ქ.-ს სარჩელი გ. ქ.-ს წინააღმდეგ უღირს მემკვიდრედ ცნობისა და მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სადავო უძრავი ქონების გ. ქ.-ს საკუთრებად რეგისტრაცია. ამ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, მათ გ. ქ.-ს სასარგებლოდ მოითხოვეს მ. ქ.-ს სარჩელზე წარმოების შეჩერება, სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და მ. ქ.-ს სარჩელზე მოპასუხე გ. ქ.-ს მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით, შეჩერდა საქმის წარმოება, 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მათ მიმართეს შპს ,,ფსიქიატრიული ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" დირექტორს გ. ქ.-ს ფსიქიატრიული აღრიცხვიდან მოხსნის თაობაზე.

2.7 ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე ლ. კ.-ს სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 25 მაისის და 2016 წლის 30 დეკემბრის ჩუქების ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო გ. ქ.-ს და ლ. კ.-ს შორის. ამ საქმეზე მათ განცხადებით მიმართეს სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. ადვოკატის განმარტებით, მათი განცხადება არ დაკმაყოფილდა, ეს გაასაჩივრეს კერძო საჩივრით, რაზეც უარი ეთქვათ.

2.8 2016 წლის 07 ოქტომბერს მან გ. ქ.-ს სახელით მოამზადა და რაიონულ პროკურატურაში შეიტანა განცხადება, სადაც დეტალურად იყო მითითებული გ. ქ.-ს მიმართ მისი ოჯახის წევრების მხრიდან მუქარისა და დაშინების გზით გ. ქ.-ს ერთ-ერთ სანოტარო ბიუროში

იძულებით მიყვანის ფაქტი და თაღლითურად გაფორმებული სანოტარო დოკუმენტით გ. ქ.-ს საცხოვრებელი ბინის იპოთეკით დატვირთვის ფაქტი. მან კიდევ ერთი განცხადება შეიტანა პროკურატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიების უმოქმედობის გამო.

2.9 ადვოკატის განცხადებით, ამჟამად გ. ქ.-ს და მ. ქ.-ს შორის კვლავ მიმდინარეობს სამკვიდრო დავა სააპელაციო ინსტანციაში.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ მისი იურიდიული ფირმის თანამშრომლები, როგორც გ. ქ.-ს წარმომადგენლები, სასამართლოში, ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში პარალელურად აწარმოებდნენ ათობით საქმეს, რომელთა უმრავლესობა გ. ქ.-ს სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი. ადვოკატი აღნიშნავს, რომ გ. ქ.-ს სამი წლის განმავლობაში არავითარი პრეტენზია არ ჰქონია საადვოკატო ფირმის თანამშრომლებთან და პირადად მასთან.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მან, როგორც საადვოკატო ფირმის ხელმძღვანელმა ცალმხრივად შეწყვიტა საადვოკატო ხელშეკრულება გ. ქ. მის მიერ უსაფუძვლო საჩივრებისა და ამორალური ქცევების გამო.

2.12 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 16 და 24 ივლისს ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურეების ხელშეკრულებაში გაიპარა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, სამოქალაქო საქმესთან ერთად მითითებული უნდა ყოფილიყო მის მიერ მომსახურების გაწევა სისხლის სამართლის კუთხითაც. გ. ქ. თავიდანვე იცოდა, რომ მისი სპეციალიზაცია იყო სისხლის სამართალი.

2.13 ადვოკატის განმარტებით, სამოქალაქო საქმეებში ჩართული იყო ადვოკატი ნ. ბ. თუმცა რადგან გ. ქ. დაჟინებით ითხოვდა პირადად ადვოკატ ვ. თ.-ს დასწრებას პროცესზე, კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატთან ერთად სხდომებს ესწრებოდა ადვოკატი ვ. თ.-ც.

3. ადვოკატის მოწმის ნ. ბ.-ს პოზიცია:

3.1 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 24 ივლისს ადვოკატის მოწმემ ნ. ბ.-მ განმარტა, რომ გ. ქ. საადვოკატო ბიუროში პირველი კონსულტაციისას ესაუბრა ადვოკატ ვ. თ.-ს. გ. ქ. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის კუთხით.

3.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ვ. თ. მუშაობდა სისხლის სამართლის კუთხით და თავად გ. ქ.-ს დაჟინებული თხოვნით, რადგან ის ენდობოდა ადვოკატ ვ. თ.-ს სახელსა და ავტორიტეტს, მონაწილეობას ღებულობდა სამოქალაქო საქმეებშიც - ფირმის სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატთან ერთად ესწრებოდა სასამართლოს სხდომებს.

3.3 მოწმის განმარტებით, მათმა ფირმამ აწარმოა გ. ქ.-ს 14 საქმე, აქედან 3 საქმე იყო სისხლის სამართლის, 3 ადმინისტრაციული და დანარჩენი სამოქალაქო სამართლის. ნ. ბ. განმარტავს, რომ ადვოკატებმა ყველა საქმე აწარმოეს კვალიფიციურად, კეთილსინდისიერად და გულისხმიერად.

3.4 მოწმის განმარტებით, თავიდან შეთანხმება იყო 2 საქმის წარმოებაზე, თუმცა შემდეგ რადგან სხვა საქმეებიც წარმოეშვა გ. ქ.-ს, ის და ფირმის სხვა ადვოკატები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჩაერთნენ გ. ქ.-ს ყველა საქმეში, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში, პროკურატურაში, აღსრულებაში.

3.5 მოწმის განმარტებით, მათსა და გ. ქ.-ს შორის არ ყოფილა შეთანხმება, რომ მათ გ. ქ.-ს ყველა საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანათ. ყველა ინსტანციაში საქმის წარმოების ვალდებულება ფირმას არ აუღია.

3.6 მოწმის განმარტებით, მას გ. ქ.-ს არ დაუვალებია ბაჟის სახით 5000 (ხუთი ათასი) ლარის გამოტანა.

3.7 მოწმის განცხადებით, მასსა და გ. ქ.-ს შორის ხელშეკრულება გაფორმებულია 200 (ორას) აშშ დოლარზე, ეს თანხა გ. ქ.-მ შეიტანა საადვოკატო ფირმის ბუღალტერიაში. პირადად მისთვის გ. ქ.-ს თანხა არ გადაუცია.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2018 წლის 08 მაისს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. თ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ვ. თ. კლიენტს - გ. ქ.-ს სამოქალაქო საქმეზე უწევდა საადვოკატო მომსახურებას, მაშინ როდესაც მის სპეციალიზაციას წარმოადგენს სისხლის სამართალი, ასევე ადვოკატ ვ. თ.-ს და გ. ქ.-ს შორის საადვოკატო მომსახურება შეწყდა მხარეთა შეთანხმებით აღებული ვალდებულების ბოლომდე შესრულებამდე, ადვოკატი წინასწარ არ შეუთანხმდა კლიენტს ჰონორარის ოდენობასთან დაკავშირებით, ადვოკატს მიღებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების თანხა წინასწარ და საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, მან გ. ქ.-ს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების თანხის პროპორციული ნაწილი სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-8, მე-12 და მე-15 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 გ. ქ.-ს და ვ. თ.-ს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2015 წლიდან. გ. ქ.-ს და ვ. თ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია 2015 წლის 22 აპრილს და 2015 წლის 28 აპრილს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. გ. ქ.-ს საჩივარი;
2. 2015 წლის 22 აპრილის ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე;
3. 2015 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე.

5.1.2 გ. ქ.-ს და კს ,,თ. და ადვოკატთა ჯგუფის" ადვოკატს ნ. ბ.-ს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება 2016 წლის 07 ივლისს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. 2016 წლის 07 ივლისის ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე.
2. ადვოკატ ვ. თ.-ს მოწმის, ადვოკატ ნ. ბ.-ს პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2018 წლის 24 ივლისის სხდომის ოქმი)

5.1.3 ადვოკატმა ვ. თ.-მ და მისი ფირმის ადვოკატმა ნ. ბ.-მ გ. ქ.-ს საადვოკატო მომსახურება გაუწიეს 14 საქმეზე. ამათგან 3 საქმე იყო სისხლის სამართლის, 3 ადმინისტრაციული სამართლის და 3 სამოქალაქო. ეს საქმეებია:

1. გ. ქ.-ს დამ, მ. ქ.-მ მოითხოვა გ. ქ.-ს უღირს მემკვიდრედ ცნობა და 2013 წლის 17 მაისს გარდაცვლილი დედის - ლ. კ.-ს სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.
2. 2015 წლის 28 ოქტომბერს მ. ქ.-ს განცხადების საფუძველზე გ. ქ.-ს საცხოვრებელ ბინაში შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. ვ. თა.-ს საქმეში უშუალო ჩართულობით და გაწეული საადვოკატო მომსახურებით, გ. ქ.-ს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა.
3. გ. ქ.-მ დედის ანდერძის საფუძველზე სამკვიდრო ქონებიდან მიიღო ¾ წილი, ამის მიუხედავად გ. ქ.-ს დამ საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა ქონების ¾ ნაწილი. ვ. თ.-მ აღნიშნულ საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების წესით მიმართა რეესტრს, რომლის შედეგად გ. ქ.-ს დის სახელზე ამჟამად ირიცხება ქონების ¼ ნაწილი.
4. 2016 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. ქ.-ს დამ, გ. ქ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.
5. 2017 წლის აპრილში გ. ქ.-ს დამ განცხადებით მიმართა სასამართლოს და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ნაცვლად მოითხოვა უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. 2017 წლის 08 მაისს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გ. ქ.-ს წარმომადგენლმა სასამართლოს წარუდგინა 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ქ.-ს სარჩელი გ. ქ.-ს წინააღმდეგ უღირს მემკვიდრედ ცნობისა და მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული

უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სადავო უძრავი ქონების გ. ქ.-ს საკუთრებად რეგისტრაცია. ამ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, მათ გ. ქ.-ს სასარგებლოდ მოითხოვეს მ. ქ.-ს სარჩელზე წარმოების შეჩერება, სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და მ. ქ.-ს სარჩელზე მოპასუხე გ. ქ.-ს მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით, შეჩერდა საქმის წარმოება - 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

6. ადვოკატმა ვ. თ.-მ განცხადებით მიმართა შპს ,,ფსიქიატრიული ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ დირექტორს და მოითხოვა გ. ქ.-ს ფსიქიატრიული აღრიცხვიდან მოხსნა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე ლ. კ.-ს სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 25 მაისის და 2016 წლის 30 დეკემბრის ჩუქების ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო გ. ქ.-სა და ლ. კ.-ს შორის. ამ საქმეზე კს ,,თ. და ადვოკატთა ჯგუფმა“ განცხადებით მიმართა სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. ადვოკატის განმარტებით, ეს განცხადება არ დაკმაყოფილდა, ეს გაასაჩივრეს კერძო საჩივრით, რაზეც უარი ეთქვათ.

8. ადვოკატმა ვ. თ.-მ 2016 წლის 07 ოქტომბერს გ. ქ.-ს სახელით მოამზადა და რაიონულ პროკურატურაში შეიტანა განცხადება, სადაც დეტალურად იყო მითითებული გ. ქ.-ს მიმართ მისი ოჯახის წევრების მხრიდან მუქარისა და დაშინების გზით გ. ქ.-ს ერთ-ერთ სანოტარო ბიუროში იძულებით მიყვანის ფაქტი და თაღლითურად გაფორმებული სანოტარო დოკუმენტით გ. ქ.-ს საცხოვრებელი ბინის იპოთეკით დატვირთვის ფაქტი. ადვოკატმა კიდევ ერთი განცხადება შეიტანა პროკურატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიების უმოქმედობის გამო.

9. გ. ქ.-ს ჰქონდა სისხლის სამართლის დავა იპოთეკარებთან დაკავშირებით, რომელშიც ჩართული იყო ადვოკატი ვ. თ.

10. კს ,,თ. და საადვოკატო ჯგუფის“ დირექტორი, ადვოკატი ვ. თ. და ადვოკატი ნ. ბ. გ. ქ.-ს წარმომადგენლობას უწევდნენ აღსრულების ეროვნულ ბიუროშიც.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2018 წლის 16 ივლისის სხდომის ოქმი;

2. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2018 წლის 24 ივლისის სხდომის ოქმი.

3. ადვოკატის მოწმის ნ. ბ.-ს 2018 წლის 24 ივლისის ახსნა-განმარტება.

5.1.4 ადვოკატ ვ. თ.-ს აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრთა ერთიანი სია.

5.2 საქმეში წარმოდგენილია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

გ. ქ.-მ ადვოკატ ვ. თ.-ს საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით გადასცა თანხა 1600 (ათას ექვსასი) აშშ დოლარი.

ეთიკის კომისიამ აღნიშნული გარემოება მიიჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორის პოზიციით, მან ადვოკატ ვ. თ.-ს ოფისში მიიტანა 1600 (ათას ექვსასი) აშშ დოლარი, ნაწილ-ნაწილ, დროის სხვადასხვა პერიოდში.

ადვოკატის პოზიციით, მის ოფისში გ. ქ. მიიტანა 1000 (ათასი) აშშ დოლარი.

კოლეგიის შეფასებით, საქმეში წარმოდგენილია თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, სალაროს ჩეკი, რომლის თანახმად, გ. ქ.-მ კს ,,თ. და ადვოკატთა ჯგუფს“ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით გადაუხადა 2000 (ორი ათასი) ლარი, რაც წარმოადგენს 1000 (ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში. შესაბამისად, კოლეგიას დადგენილად მიაჩნია, რომ გ. ქ. ადვოკატებს გადასცა 1000 (ათასი) აშშ დოლარი.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა პოზიციები, მოწმის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. თ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. თ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

7.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა”.

7.2 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N017/11 მიიჩნია, რომ კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 - მე-11 მუხლებით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ,,ადვოკატს, რომელსაც

ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში“.

7.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N030/11 მიიჩნია, რომ ,,დაცვის უფლების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.“

7.4 კომისიის განმარტებით, კეთილსინდისიერების ვალდებულების უხეში დარღვევაა, როცა ადვოკატი წინასწარ არ აცნობებს კლიენტს, რომ მას არ აქვს უფლებამოსილება გამოვიდეს მის წარმომადგენლად სასამართლო პროცესზე ყველა ინსტანციის სასამართლოში. საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები, რაც წარმოშობს კლიენტისათვის დამატებითი პრობლემების შექმნის საფრთხეს, სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლიენტს მომსახურება გაუწიოს იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მინიჭებული აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია.

7.5 ვ. თ. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითიN/. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და პროფესიულმა რეგულაციებმა (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი) მას სისხლის სამართლის მიმართულებით მიანიჭა კვალიფიკაცია და ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ასოციაციის მიერ მინიჭებული სპეციალიზაციის შესაბამისად. სამოქალაქო სამართლის კვალიფიკაციის არ ქონისას, არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, რაც კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევაა.

7.6 განსახილველ საქმეში წარმოდგენილია 3 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება:

2015 წლის 22 აპრილის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშკერულების მხარეები არიან გ. ქ. და ადვოკატი ვ. თ. ადვოკატი ვ. თ. იღებს ვალდებულებას ,,მოქმედი

კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელოს გ. ქ.-ს ინტერესების დაცვა სამოქალაქო საქმეზე.“ ხელშეკრულებით მხარეთა შორის შეთანხმებულ გასამრჯელოს წარმოადგენს 1000 (ათასი) აშშ დოლარი, ამ თანხიდან 500 (ხუთასი) აშშ დოლარი გადახდილი იქნება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო დანარჩენი 500 (ხუთასი) აშშ დოლარი მოგვიანებით.

2015 წლის 28 აპრილის საადვოკატო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების მხარეები არიან გ. ქ. და ადვოკატი ვ. თ. ადვოკატი ვ. თ. იღებს ვალდებულებას ,,მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელოს გ. ქ.-ს ინტერესების დაცვა სამოქალაქო საქმეზე.“ ხელშეკრულებით მხარეთა შორის შეთანხმებულ გასამრჯელოს წარმოადგენს 400 (ოთხასი) აშშ დოლარი, რომელსაც გ. ქ. უხდის ადვოკატ ვ. თ.-ს.

2016 წლის 07 ივლისს გ. ქ.-ს და კს ,,თ. და ადვოკატთა ჯგუფის“ ადვოკატს ნ. ბ.-ს შორის გაფორმებულია კიდევ ერთი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე, სადაც ადვოკატი ნ. ბ. იღებს ვალდებულებას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელოს გ. ქ.-ს ინტერესების დაცვა სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე. მხარეთა შორის შეთანხმებულია გასამრჯელო: გ. ქ. ვალდებულია გადაუხადოს ადვოკატ ნ. ბ.-ს გასამრჯელო 200 (ორასი) აშშ დოლარის ოდენობით.

7.7 საჩივრისა ავტორისა და ადვოკატ ვ. თ.-ს პოზიციიდან ირკვევა, რომ გ. ქ. სამართლებრივ დახმარებას საჭიროებდა როგორც სამოქალაქო სამართლის, ასევე სისხლის სამართლის კუთხით. ადვოკატმა ვ. თ. კოლეგიას განუმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშკერულების შეთანხმების საგანში მითითებული ფრაზა: რომ ,,ადვოკატ ვ. თ.-ს უნდა განეხორციელებია გ. ქ.-ს ინეტერესების დაცვა სამოქალაქო საქმეზე“, წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და სამოქალაქოსთან ერთად მითითებული უნდა იყოს მის მიერ მომსახურების გაწევა სისხლის სამართლის კუთხითაც. მოწმემ ნ. ბ.-მ დაადასტურა, რომ სამოქალაქო საქმეებში ადვოკატ ვ. თ.-ს ჩართულობა შემოიფარგლებოდა სხდომაზე დასწრებით და ეს განპირობებული იყო თავად გ. ქ.-ს დაჟინებული მოთხოვნით, რომელიც ენდობოდა მხოლოდ ადვოკატ ვ. თ.-ს კვალიფიკაციასა და ავტორიტეტს.

7.8 კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი მივიდა კონკრეტულად ადვოკატ ვ. თ. და არა მისი ბიუროს რომელიმე ადვოკატთან. მას სურდა უშუალოდ ადვოკატ ვ. თ.-ს გაეწია მისთვის საადვოკატო მომსახურება. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2018 წლის 16 ივლისისა და 24 ივლისის სხდომებზე გამოიკვეთა, რომ გ. ქ.-ს ადვოკატმა ვ. თ.-მ თავისი სპეციალიზაციის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

7.9 კოლეგიის შეფასებით, მიუხედავად ადვოკატის განმარტებისა, რომ ხელშეკრულებაში გაიპარა ტექნიკური შეცდომა და სამოქალაქო სპეცილიზაციასთან ერთად მითითებული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, ასევე იმის მიუხედავად, რომ გ. ქ.-ს სამოქალაქო საქმეში ჩართული იყო ვ. თ.-ს ბიუროს ადვოკატი - ნ. ბ. რომელსაც ჰქონდა სპეციალიზაცია სამოქალაქო სამართლის მიმართულებით და გ. ქ.-ს ყველა საქმე კს ,,თ. და საადვოკატო ჯგუფმა“ აწარმოა კვალიფიციურად, ეთიკის კომისია ადვოკატ ვ. თ.-ს

მიმართავს კერძო სარეკომენდაციო ბარათით, რადგან მან, როგორც ადვოკატმა (და არა როგორც ბიუროს ხელმძღვანელმა) პირადად აიღო გ. ქ.-ს სამოქალაქო საქმე, მისი სპეციალიზაციის გათვალისწინებით, რითაც დაარღვია ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულება.

7.10 განხილვის კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ადვოკატი ვ. თ. არ უბრუნებს გადახდილი საადვოკატო მომსახურების თანხის, 1600 (ათას ექვსასი) აშშ დოლარის ნახევარს, 800 (რვაასი) აშშ დოლარს და იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის ფარგლებში:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი".

7.11 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეში N განმარტა, რომ ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას." ეთიკის კომისიის აღნიშნულ განმარტებასა და პრაქტიკას ეთანხმება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეში Nდს-შ/7-16.

7.12 განხილვის კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორს გ. ქ. და ადვოკატ ვ. თ.-ს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე დაიდო წერილობითი ფორმით, 2015 წლის 22 აპრილს, 28 აპრილს და 2016 წლის 07 ივლისს. ხელშეკრულებებში შეთანხმების საგანი ზოგადადაა მითითებული: ,,საადვოკატო მომსახურების გაწევა გ. ქ.-ს სამოქალაქო საქმეზე.“ კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა ვ. თ.-მ გ. ქ.-საგან მიიღო საადვოკატო მომსახურების თანხა 1000 (ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. ამ თანხის ფარგლებში პირადად ვ. თ.-მ და მისი ბიუროს ადვოკატმა ნ. ბ.-მ ადვოკატმა გ. ქ.-ს საადვოკატო მომსახურება გაუწიეს 14 საქმეზე. ამათგან 3 საქმე იყო სისხლის სამართლის, 3 ადმინისტრაციული სამართლის და 3 სამოქალაქო. აღნიშნული საქმეებია:

1. გ. ქ.-ს დამ, მ. ქ. მოითხოვა გ. ქ.-ს უღირს მემკვიდრედ ცნობა და 2013 წლის 17 მაისს გარდაცვლილი დედის - ლ. კ.-ს სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა. მ. ქ.-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2. 2015 წლის 28 ოქტომბერს მ. ქ.-ს განცხადების საფუძველზე გ. ქ.-ს საცხოვრებელ ბინაში შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. ვ. თ.-ს საქმეში უშუალო ჩართულობით და გაწეული საადვოკატო მომსახურებით, გ. ქ.-ს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა.

3. გ. ქ. დედის ანდერძის საფუძველზე სამკვიდრო ქონებიდან მიიღო ¾ წილი, ამის მიუხედავად გ. ქ.-ს დამ საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა ქონების ¾ ნაწილი. ვ. თ.-მ აღნიშნულ საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების წესით მიმართა რეესტრს, რომლის შედეგად გ. ქ.-ს დის სახელზე ამჟამად ირიცხება ქონების ¼ ნაწილი.

4. 2016 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. ქ.-ს დამ, გ. ქ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

5. 2017 წლის აპრილში გ. ქ.-ს დამ განცხადებით მიმართა სასამართლოს და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ნაცვლად მოითხოვა უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. 2017 წლის 08 მაისს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გ. ქ.-ს წარმომადგენლმა სასამართლოს წარუდგინა 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ქ. სარჩელი გ. ქ.-ს წინააღმდეგ უღირს მემკვიდრედ ცნობისა და მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სადავო უძრავი ქონების გ. ქ.-ს საკუთრებად რეგისტრაცია. ამ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, მათ გ. ქ.-ს სასარგებლოდ მოითხოვეს მ. ქ.-ს სარჩელზე წარმოების შეჩერება, სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და მ. ქ.-ს სარჩელზე მოპასუხე გ. ქ.-ს მიმართ უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით, შეჩერდა საქმის წარმოება, 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

6. ადვოკატმა ვ. თ.-მ განცხადებით მიმართა შპს ,,ფსიქიატრიული ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ დირექტორს და მოითხოვა გ. ქ. ფსიქიატრიული აღრიცხვიდან მოხსნა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე ლ. კ.-ს სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 25 მაისის და 2016 წლის 30 დეკემბრის ჩუქების ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო გ. ქ. და ლ. კ.-ს შორის. ამ საქმეზე კს ,,თ. და ადვოკატთა ჯგუფმა“ განცხადებით მიმართა სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. ადვოკატის განმარტებით, ეს განცხადება არ დაკმაყოფილდა, ეს გაასაჩივრეს კერძო საჩივრით, რაზეც უარი ეთქვათ.

8. ადვოკატმა ვ. თ.-მ 2016 წლის 07 ოქტომბერს გ. ქ.-ს სახელით მოამზადა და რაიონულ პროკურატურაში შეიტანა განცხადება, სადაც დეტალურად იყო მითითებული გ. ქ.-ს მიმართ მისი ოჯახის წევრების მხრიდან მუქარისა და დაშინების გზით გ. ქ.-ს ერთ-ერთ სანოტარო ბიუროში იძულებით მიყვანის ფაქტი და თაღლითურად გაფორმებული სანოტარო დოკუმენტით გ. ქ.-ს საცხოვრებელი ბინის იპოთეკით დატვირთვის ფაქტი. ადვოკატმა კიდევ ერთი განცხადება შეიტანა პროკურატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიების უმოქმედობის გამო.

9. გ. ქ.-ს ჰქონდა სისხლის სამართლის დავა იპოთეკარებთან დაკავშირებით, რომელშიც ჩართული იყო ადვოკატი ვ. თ.

10. კს ,,თ. და საადვოკატო ჯგუფის“ დირექტორი, ადვოკატი ვ. თ. და ადვოკატი ნ. ბ. გ. ქ.-ს წარმომადგენლობას უწევდნენ აღსრულების ეროვნულ ბიუროშიც.

7.13 კს ,,თ. და საადვოკატო ჯგუფმა“ თავდაპირველად აიღო ვალდებულება ეწარმოებინათ გ. ქ.-ს მხოლოდ 2 საქმე, რაც სრულყოფილად შეასრულეს. ამ 2 საქმის პარალელურად წარმოშობილ ყველა დავაში ასევე სრულყოფილად იყო ჩართული ადვოკატ ვ. თ. და მისი საადვოკატო ჯგუფი. შესაბამისად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ვ. თ.-მ და მისი ბიუროს ადვოკატმა გ. ქ.-ს საქმეზე განახორციელეს საადვოკატო მომსახურება სრული მოცულობით, იმაზე მეტი საქმე აწარმოეს, ვიდრე ვალდებულება აიღეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით. შესაბამისად, კოლეგიას არ გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატ ვ. თ.-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, და მე-15 ნაწილებით, ,,ადვოკატთა

დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, 37-ე, 38-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N ვ. თ.-ს /სიითი №/ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განესაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

4. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/